ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

90 წელი თქვენთან ერთად!





„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №11 (7088) 3 მაისი 2023 წელი

ჩემო ძვირფასო თანამოქალაქენო, ჩემო თერჯოლელებო...

პირველ რიგში, მინდა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ იმ მხარდაჭერისა და გულწრფელი დამოკიდებულებისათვის, რაც ჩვენს მიმართ გამოხატეთ. თქვენი ნდობა ასმაგად აძლიერებს ჩემს პასუხისგებლობას!

მადლობას ვუხდი ჩვენს პოლიტიკურ გუნდს, „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს" ამ შესაძლებლობებისთვის. მაქვს პატივი, თერჯოლასა და თერჯოლელებს მერის რანგში ვემსახურო.

მსურს ის სიკეთეები, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მმართველი გუნდი ქმნის ყველა ოჯახზე აისახოს. გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები თუ როგორ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარება. აღსანიშნავია, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტი სრულად არის გაზიფიცირებული, საგრძნობლად მოწესრიგდა ცენტრალური გზები და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, რამდენიმე სოფელში მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, მერიის სოციალური პროგრამის „სახლდაზიანებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამის ფარგლებში", 19 ოჯახს ავუშენეთ საცხოვრებელი სახლი, მიმდინარე წელს კი 10 ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას.

მზად ვარ, ვემსახურო ჩემს სამშობლოს და თქვენთან ერთად, ყველა დაწყებული პროექტი ღირსეულად გავაგრძელო, რათა ჩვენი მუნიციპალიტეტი იყოს მეტად განვითარებული და კეთილმოწყობილი.

განვითარება ყველა რეგიონს...

პატივისცემით, მანუჩარ რობაქიძე

მანუჩარ რობაქიძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის არჩეული მერია...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებში, მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერად, ხმა მისცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს მანუჩარ რობაქიძეს.

როგორც ჩვენთან საუბარში თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ნაზი სირაძემ განაცხადა, არჩევნებში მონაწილე 11773 ამომრჩევლიდან 11 574 ხმა მისცა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატს მანუჩარ რობაქიძეს.

საგულისხმოა, რომ მუნიციპალიტეტის 29 საარჩევნო უბნიდან 23 უბანში არჩევნები პირველად ჩატარდა ელექტრონული ტექნოლოგიებით—ხმის მიცემის, ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატების გამოყენებით. რაიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი ამ პროცესში არ გამოვლენილა.

ბატონ მანუჩარს ვულოცავთ მუნიციპალიტეტის მერად არჩევას და ვუსურვებთ ჩვეული პასუხისმგებლობით ეღვაწოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიური განვითარების, არსებული პრობლემების გადაწყვეტის და იმ გეგმებისა და პროგრამების განხორციელებასათვის, რომლებიც განსაზღვრულია თერჯოლის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით და ერთობით ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომელსა შვენის პატივი და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლე:

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

„გამოვიდა სიძე ჯოჯოხეთიდან, მკვდრეთით აღდგა ძლიერებით შემოსილი, სიკვდილი დათრგუნა და ტყვენი გაათავისუფლა“ (წმ. იოანე ოქროპირი) ქრისტე აღდგა! დგება ჟამი ახალი პასექისა!

დღეს ზეიმობს ცა და მიწა, ხილული და უხილავი სამყარო; რა თქმა უნდა, ვზეიმობთ ჩვენც, რადგან ამ სასწაულით დასრულდა ამქვეყნად მაცხოვრის ღმერთკაცობრივი, გონებისთვის მიუწვდომელი ღვაწლი, ჩვენი ხსნისათვის გაღებული.

ამპარტავნების გამო აკრძალული ხისკენ ადამის გაწვდილი ხელის ნაცვლად, მწყემსი კეთილი საკუთარ ხელს იწვდის ჯვარზე მისამსჭვალად, განდიდების ნაცვლად, თავზე ეკლიან გვირგვინს იდგამს და ჩვენი ცხონების სანაცვლოდ, თავის სიცოცხლეს სწირავს.

ამ საოცარმა მსხვერპლმა სიკვდილისა და ჯოჯოხეთის საკვრელთაგან იხსნა ძველი აღთქმის მართალთა სულნი, ადამიდან და ევადან ვიდრე ქრისტეს აღდგომამდე შესვენებულნი და ცათა სასუფეველი დაუმკვიდრა მათ.

აღდგომის შემდეგ კი სასუფევლის კარი ღიაა ყველა ქრისტიანისთვის, რომელნიც სულით და ხორცით განწმენდილნი წარდგებიან ღვთის წინაშე. ასეთ ადამიანთა სულებს ჯოჯოხეთი უკვე ვეღარ ეხება და გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შემდეგ ისინი უფლის სავანეთა შინა განისვენებენ.

☞3

ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, ჩვენო მეგობრებო!

☞4

6 მაისი გიორგობაა... გილოცავთ!

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ვულოცავთ!
ეკატერინე არაბიძე—100 და ჟენია ეგუტიძე—100

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მირზა ქოჩიაშ-

ვილმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, 100 წლის იუბილე მიულოცა სოფელ ახალთერჯოლაში მცხოვრებ, ეკატერინე არაბიძეს და სოფელ ეწერში მცხოვრებ ჟენია ეგუტიძეს, რომლებსაც სასაჩუქრე ნობათები გადასცა.

„ძალიან სასიამოვნოა, როდესაც უფროსი თაობის ადამიანებს დაბადების დღეს ვულოცავთ. მოვინახულეთ ოჯახები, რომელთა წევრებიც 100 წლის გახდნენ, დასაფასებელია მათი განვლილი ცხოვრების გზა. მინდა, თითოეულ მათგანს მშვიდობა და ჯანმრთელობა ვუსურვო. ჩვენი მხრიდან კი, ყოველთვის იგრძნობენ ზრუნვასა და თანადგომას“—განაცხადა მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მირზა ქოჩიაშვილმა.

ახალთერჯოლის მკვიდრი, ეკატერინე არაბიძე 10 შვილიშვილისა და 21 შვილთაშვილის ბებიაა.

ეწერში მცხოვრებ ჟენია ეგუტიძეს 9 შვილიშვილი და 12 შვილთაშვილი ჰყავს.

აღნიშნული ოჯახის წევრებს საუკუნის იუბილე, ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ბარდუბნისა და ეწრის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გოჩა ვერულაშვილმა, საკრებულოს წევრმა, კობა კაცაძემ და სოციალური სამსახურის უფროსმა დიანა ფოცხვერაშვილმა მიულოცეს.

სააღდგომო ნობათები...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, 70 წელს გადაცილებულ

მარტოხელა მოხუცებს სასურსათო კალათები გადაეცათ.

რამდენიმე ოჯახში, მათთან პირადად მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით გოგბერაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდნენ, თითოეულ მათგანს სააღდგომო ნობათები გადასცეს და ქრისტიანული დღესასწაული—აღდგომა მიულოცეს.

სასურსათო კალათა, რომელიც ყველა საჭირო პროდუქტს მოიცავს, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებს, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა პირადად გადასცეს.

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ორგანიზებით, პროგრამით გათვალისწინებულ პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტები სააღდგომოდ 80-მდე ოჯახმა მიიღო.

„ვიმღეროთ ერთად“...

ამ დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა მუსიკალური პროექტი „ვიმღეროთ ერთად“.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მომღერალი, კომპოზიტორი დათო არჩვაძე და თერჯოლელთა ანსამბლი „მასპინძელო“. ამ ღამაზ მუსიკალურ საღამოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელოვნებო პროექტების ხელმძღვანელი, მაია დათუნაშვილი წარუძღვა.

კონცერტზე გაჟღერდა დათო არჩვაძისა და ქართველ კომპოზიტორთა ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი სიმღერები.

ემოციებით დატვირთულმა საღამომ მსმენელთა დიდი მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა...

ხელმძღვანელმა პირებმა ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადეს და სამომავლოდ წარმატებები უსურვეს.

თერჯოლის მერია ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მსგავსი პროექტების განხორციელებასა და კულტურულ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართულობას.

ვენახების კადასტრის პროგრამა...

დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რეგიონებში ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება იწყება.

ვენახების კადასტრის მნიშვნელობა და პროგრამის დეტალები ღვინის ეროვნული საგენტოს წარმომადგენლებმა თერჯოლისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებსა და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებს გააცნეს.

გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, აღინიშნა, რომ ვენახების კადასტრი მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების და ხარისხიანი ღვინის წარმოების ხელშეწყობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. პროგრამა უზრუნველყოფს რთველის პროცესის ორგანიზებულად და გამჭვირვალედ ჩატარებას, ასევე ყურძნისეული პროდუქტის მიკვლევადობას.

აღსანიშნავია, რომ ვენახების კადასტრი იქმნება თითოეული ვენახის ნაკვეთის რეგისტრაციით და მოიცავს ვენახში არსებულ ვაზის ჯიშებს, დარგვის თარიღს, ვენახის მდგომარეობას და ა.შ. ვენახების კადასტრის შექმნა ხელს უწყობს ვენახების შესახებ მუდმივად განახლებადი ინფორმაციის შეკრებას დარგის წარმატებული მართვისათვის.

ვენახების კადასტრის პროგრამას ღვინის ეროვნული საგენტო 2014 წლიდან ახორციელებს.

საჩუქრები წარმატებულ მოსწავლეებს...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, პორტატული კომპიუტერი 46-მა მოსწავლემ მიიღო.

თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით, საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის წარმატებულ მოსწავლეებს, კუთვნილი კომპიუტერები, თერჯოლის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მირზა ქოჩიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ჯემალ ისაკაძემ რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, ქეთევან შეყრილაძესთან ერთად გადასცეს.

„მინდა თითოეულ თქვენგანს მოგილოცოთ ეს დიდი წარმატება და სიმბოლური ჯილდო, რომელიც დიდი შრომითა და მონდომებით დაიმსახურეთ. მოხარული ვარ, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი წარმატებული და გონიერი მოსწავლეა. მჯერა თქვენს ცოდნასა და გამოცდილებას ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის მომართავთ“—განაცხადა მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მირზა ქოჩიაშვილმა.

მიეძღვნა დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა ხსოვნას...

9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მირზა ქოჩიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით გოგბერაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა, გვირგვინებით შეამკეს ქალაქ თერჯოლისა და ძევრის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული 9 აპრილის მემორიალები და პატივი მიაგეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

მემორიალთან, დეკანოზმა სპირიდონ ცქიფურიშვილმა 9 აპრილს გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა, ხოლო თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელების მონაწილეობით, პერფორმანსი ჩატარდა.

გმირთა მემორიალზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა, რომლებმაც, 9 აპრილის მოვლენებზე, ქართველი ხალხის ერთიანობასა და გმირობის მაგალითებზე ისაუბრეს.

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა თბილისის ცენტრში, პარლამენტის შენობასთან, მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

ეს დღე 1991 წლის 9 აპრილს, მაშინდელმა უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

გმირთა მემორიალზე, ადგილობრივ საკრებულოში ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი, მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თანამშრომლები, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები და მოქალაქეები იმყოფებოდნენ.

თერჯოლას მარადმწვანე დეკორატიული მცენარეები დაამშვენებენ...

უნიკალური და გამორჩეული ჯიშის ნერგები, ქალაქ თერჯოლის ახალრეაბილიტირებულ სკვერში ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის ინიციატივით დაირგო.

გამწვანების აქციაში თერჯოლის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მირზა ქოჩიაშვილი, მერიისა და საკრებულოს, ასევე ა(ა)იპების თანამშრომლები და მოხალისეები ჩაერთვნენ, რომლებმაც ჯამში 400-მდე ოქროსფერი ტუია და ვარდი დარგეს.

თერჯოლაში არსებული სკვერების გამწვანება მცენარეებით და ყვავილებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ეს უფრო მიმზიდველს ხდის, როგორც ქალაქის იერსახეს, ასევე ხელს უწყობს ჯანსაღი და სუფთა გარემოს შექმნას მომავალი თაობებისთვის.

ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით და ერთობით ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომელსა შვენის პატივი და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

1☜

ამ სიხარულს ათასწლეულთა მანძილზე ელოდნენ თაობები.

უფალი მოვიდა, რომ წინამძღვრად ექცეს ჩვენს აზრს, გრძნობას, მოქმედებას, სულისა და გულის წადილს; რომ დაგვეხმაროს, შემოვბრუნდეთ და გამოვასწოროთ ჩვენი დაცემული ბუნების ნაკლოვანებანი; სულიერად გავიმართოთ და ჩვენი ცხოვრება მარადიულად მოზეიმე ზეცისკენ მიმავალი გზის დასაწყისად ვაქციოთ.

რა თქმა უნდა, ჩვენს სულსა და სხეულში ფესვგადგმული ცოდვისაგან თავის დახსნა ჭირს, რადგან ეშმაკი ათასნაირ მახეს უგებს მორწმუნეთ, რომ ღვთის გზა დაავიწყოს. ამიტომაც ყველა ქრისტესმოყვარეს აუცილებლად ეკლიანი და ვიწრო ბილიკის გავლა მოუწევს და ამისათვის მზად უნდა ვიყოთ.

დრო ისედაც დამძიმდა, მაგრამ არ შედრკეთ! მთავარია, ნებისმიერი ვითარებიდან სწორი დასკვნა გამოვიტანოთ, ღმერთს არ განვეშოროთ და მუდამ გვახსოვდეს მისი სიტყვები: „მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, შენი მარჯვენის განმამტკიცებელი, მთქმელი შენდა მიმართ: ნუ გეშინია, მე შეგეწევი“ (ეს.41.13); გვახსოვდეს და გჯეროდეს ისიც, რომ ბოლოს მაინც „უფლის მორწმუნეთ ყოველივე კეთილად წარემართებათ.“

უფალი ყველას სიყვარულით ელის თავისთან, განსაკუთრებით – მონანულ ცოდვილთ, თუნდაც რომ მეთერთმეტე ჟამის მუშაკნი იყვნენ ისინი და ზეცისკენ მიმავალ აღმართზე შედგომასა და თანადგომას სთავაზობს მათ.

ასე რომ, წუთისოფლის ყოველი დღე მორწმუნეთათვის სულიერ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ბრძოლის ასპარეზია. ამ ბრძოლაში გამარჯვება გვმართებს. ხსნის გზა გაკვალულია, მის გასავლელად კი ყველას პიროვნულად ჩვენი შრომა გვაქვს გასაწევი.

იესო ქრისტეს მიწიერი მყოფობა, ჯვარცმამდეც და ჯვარცმის შემდეგ ამაღლებამდეც, ნებისმიერი დროის მორწმუნე ქრისტიანისთვის ცხოვრებისა და აზროვნების წესის განმსაზღვრელია და „თუ გვწამს, რომ იესო მოკვდა და აღდგა, ასევე ღმერთი მათაც (მართლებს), რომელნიც დაძინებულნი (გარდაცვლილნი) არიან, თავისთან მიიყვანს იესოს მიერ“ (1თეს. 4:14), ე.ი. სასუფევლისათვის აღადგენს სხეულებრივად.

როგორც აღვნიშნეთ, ეს დღე ყველა მიცვალებულისათვის მეორედ მოსვლის შემდეგ დადგება, მაცხოვარმა კი აღდგომისთანავე უხრწნელი სულიერი სხეული შეიმოსა და გახდა პირმშო შესვენებულთა (გამოცხ. 1,5).

წმინდა სახარება ბრძანებს, რომ იესო ქრისტე ასეთი სახით ორმოცი დღის მანძილზე ეცხადებოდა მენელსაცხებლე დედებს, თავის მოწაფეებს, გამოეცხადა ხუთასზე მეტ ადამიანსაც…

თავდაპირველად ვერც დედები და ვერც მოწაფენი ვერ იჯერებდნენ, რომ იგი აღდგა და ცოცხალია, რადგან აწ უკვე უხრწნელი, უკვდავი და უვნებო მისი სხეული სახეცვლილი იყო. მაგრამ ამ დღეების მანძილზე მათ მიეცათ მტკიცე რწმენა და ცოდნა ცათა სასუფეველში სულიერი სხეულით შემოსილ რჩეულთა მომავალი მყოფობის შესახებ, რომელთაც მაცხოვრის მსგავსი უხრწნელი სხეული ექნებოდათ და გააცნობიერეს საბოლოო და უმთავრესი მიზანი ღვთის განკაცებისა, – სრულყოფილი სახით, სულისა და უხრწნელი სხეულის ერთობით, – მარადიული სიცოცხლისა და სიხარულის მინიჭება ადამიანისთვის, ანუ აღდგენა მისთვის იმ მდგომარეობისა, რისთვისაც და

როგორადაც იგი შეიქმნა. ამიტომაც, როდესაც მოწაფეებმა ცად ამაღლებული იესო ქრისტე იხილეს, სიხარულით აღვსილნი დაბრუნდნენ იერუსალიმში.

თუ მათ ჯვარცმისას უფალი მიატოვეს და ძრწოდნენ ქვეყნის მთავართა და მღვდელმთავართა შიშით, ახლა განძლიერდნენ; სულთმოფენობის შემდეგ კი დიდ საიდუმლოებებს ზიარებულნი იმდენად განმტკიცდნენ, რომ მზად იყვნენ, ყველგან და ყველას წინაშე დაუბრკოლებლად დაემოწმებინათ უფლის სწავლება და თავი დაედოთ მისთვის.

ეს რწმენა მოციქულებმა მთელ მსოფლიოს მოჰფინეს.

ყოველივე ეს საფუძველია მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. იგი განაპირობებს ჩვენს მრწამსსაც და მეორედ მოსვლის შემდეგ ყველას სხეულებრივი აღდგომის გარდაუვალობასაც; ამიტომაც ბრძანებს მოციქული: თუ მიგაჩნიათ, „რომ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღმდგარა. მაშ, ფუჭი ყოფილა ჩვენი რწმენა“ (1კორ. 15:16-17), ხოლო ვისაც სჯერა აღდგომის, ყველას გვმართებს ზრუნვა, როგორც სულის, ისე სხეულის სიწმინდისათვის, რათა ჩვენზეც აღსრულდეს იესოს ნათქვამი: „ვისაც მე ვუყვარვარ, დაიცავს ჩემს სიტყვას, და მამა ჩემი შეიყვარებს მას, და მივალთ და მასთან დავივანებთ“ (ინ.14.23).

ზემოაღნიშნულზე კიდევ ერთხელ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ხშირად ჩვენთან გადამეტებულად და უნუგეშოდ იციან გლოვა და მწუხარება.

მართალია, ახლობელთან განშორება ძალიან დიდი ტკივილია, მაგრამ თუ მორწმუნენი ვართ, უნდა გვჯეროდეს, რომ სიკვდილი იძლია მაცხოვრის მიერ, რომ გარდაცვლილ ახლობელთა სულები ცოცხლები არიან, უფრო მეტად ცოცხლები, ვიდრე ჩვენ ვართ. ჩვენ კი მათთვის, პირველ რიგში, სულიერი ზრუნვა გვმართებს, რაც ლოცვაში და მათ სახელზე სიკეთეთა ქმნაში გამოიხატება, რათა საყოველთაო განკითხვის ჟამს ჩვენი ეს ქველმოქმედება მათ მიეთვალოთ. ამასთან, ამგვარი ღვაწლი ამქვეყნად სიკეთედ შეგვერაცხება და ჩვენს მომავალ ცხოვრებასაც შეეწევა.

სამწუხაროდ, ადრეც და, მით უმეტეს, ჩვენს დროშიც მრავლად არიან ადამიანები, რომელთაც ათეისტური აზროვნება აქვთ და მიაჩნიათ, რომ ღმერთი არ არსებობს, არ არსებობს არც ქრისტეს აღდგომა და არც საუკუნო ცხოვრება. მათი აზრით, ჩვენს გონებას დღეს თუ არა ხვალ შეუძლია, ყველა კითხვას გასცეს პასუხი და ჩაანაცვლოს ღვთის ყოვლისშემძლეობაც.

რა თქმა უნდა, იყვნენ და არიან ათეისტი მეცნიერებიც, რომლებიც ვერ ხედავენ სამყაროში შემოქმედის ნაკვალევს. ასეთ სულისკვეთებას ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების არნახული წარმატებები და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ჩვენს დროში; მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მრავალ უდიდეს მკვლევარს სწორედ მეცნიერულმა აღმოჩენებმა დაანახა კავშირი ქმნილებასა და ღმერთს შორის, დაანახა რომ სამყარო არ შეიძლება, იყოს შემთხვევითობის შედეგი. მათი საერთო განწყობის გამომხატველია დიდი გერმანელი ფიზიკოსის, კვანტური ფიზიკის ფუძემდებლის, ვერნერ ჰაიზენბერგის სიტყვები: „მეცნიერების სასმისის პირველმა ყლუპმა, შესაძლოა, ათეიზმს გაზიაროს, მაგრამ სასმისის ბოლოს აუცილებლად ღმერთი გელოდება“.

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (ინ.14.6), – ბრძანებს მაცხოვარი.

ქრისტიანული ცხოვრება, პირველ რიგში, გულისხმობს, მართებული წარმოდგენა გვქონდეს, თუ როგორ გამოვიყენოთ ღვთისგან ბოძებული უდიდესი საჩუქარი – თავისუფალი ნება, ანუ ჩვენი თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ნებისმიერ სიტუაციაში.

თავისუფლება ადამიანმა შეიძლება დაკარგოს ძალმომრეობით და მის დასაბრუნებლად, ბუნებრივია, უნდა იზრუნოს; მაგრამ შესაძლოა, ადამიანმა თავისუფლება დაკარგოს ცრუ თავისუფლების სახელით და სულიერ მონობაში აღმოჩნდეს.

სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოების ნაწილი სწორედ ამ მდგომარეობაშია და თავისუფლებას მიიჩნევს ყველაფრის უფლებად, რაც მორწმუნე ადამიანისათვის კატეგორიულად მიუღებელია.

ყველაფრის უფლების დამკვიდრება ხდება ზნეობრიობის უგულებელყოფით და ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობის დაკარგვით; მისი შინა-არსის სრული სახეცვლილებითა და გაუკუღმართებით; ამიტომაცაა, რომ თავისუფლების, სიყვარულის, ადამიანის ღირსების შესახებ ყველა საუბრობს, მაგრამ დღეს უკვე რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობით.

ჩვენთვის თავისუფლება ნიშნავს საკუთარი თავის შეცნობას, სრულყოფისაკენ სწრაფვას, ჩვენი სულის სიღრმეში ღვთის ხატად შექმნილი ჩვენი დაფარული „მე“-ს პოვნას.

თავისუფლება სწორედ ამ რეალურ „მე“-მდე მიღწევა და მისი აღმოჩენაა, ცოდვითი ცხოვრებისგან განშორება და არასწორი წარმოდგენებისგან თავის დახსნაა.

მოციქული გვეუბნება: „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია“ (1 კორ. 6:12).

იგივე მოციქული სხვაგან ბრძანებს: „ხოლო თქვენ თავისუფლებისათვის ხართ მოწოდებულნი, ძმებო, ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს. ვინაიდან მთელ რჯულს ეს ერთი მცნება მოიცავს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (გალ. 5:13-14)

ამ სიტყვებით კარგად ჩანს, რომ ჭეშმარიტად თავისუფალი პიროვნება თავისუფალია ეგოიზმისგან და მისი ცხოვრება სიყვარულზე, ზნეობასა და სათნოებაზეა დამყარებული. ასეთ ადამიანთა სიმრავლე ქვეყნის სიძლიერეა.

ჩვენს საზოგადოებაში კი, ქვეყანაზე ზრუნვის მოტივით, სამწუხაროდ, მრავალი მხრიდან აქვს ადგილი კატეგორიულ აზროვნებას და მძლავრობს აგრესიული მეტყველება, რაც მოსახლეობაში მკვეთრ პოლარიზებას იწვევს.

ადამიანები ვერ აცნობიერებენ, რამდენად საშიშია ასეთი დამოკიდებულება სიტყვასთან.

სიტყვა ენერგიაა, დადებითი ან უარყოფითი, და თანაც ძალიან ძლიერი, რომელიც თავის გავლენას, პირველ რიგში, მათზე ახდენს, ვისგანაც იგი წარმოითქმის, შემდეგ კი აისახება სხვებზე და საერთოდ გარემოზე;

წმ. პატრიარქი ამბროსი ხელაია მოგვიწოდებს: „თუ დავუდებთ ჩვენს თავისუფლებას საფუძვლად ქრისტეს ზნეობრივ სწავლას და მისი იდეალების ცხოვრებაში განხორციელებას, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, ვიყოთ სასარგებლო წევრნი სახელმწიფოსი.“

ჩვენ ვცხოვრობთ რთულ პერიოდში, ფეთქებადსაშიშ დროში, როდესაც ბირთვული კატასტროფის საფრთხე რეალურია; ამიტომაც განსაკუთრებით ვფიქრობთ მშვიდობაზე, რომელიც არის ძვირფასი საღვთო ძღვენი.

„ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ ისინი ძედ ღვთისად იწოდნენ,“ – გვასწავლის უფალი და ჩვენ, როგორც იესო ქრისტეს მიმდევრებს, გვაქვს ვალდებულება, სიტყვით, საქმით, მოქმედებით ვიღვაწოთ მშვიდობისათვის; მშვიდობით ვემსახუროთ ერთმანეთს და სამშობლოს.

მხოლოდ მშვიდობიანობის დროს არის შესაძლებელი, ნათლად გავაცნობიეროთ ჩვენი დანიშნულება და ღვთივმომადლებული უნარი წარმოვაჩინოთ; ხოლო იმ გარემოში, სადაც ადგილი აქვს მტრობას, ძალადობას, უსამართლობას, მშვიდობა ვერ დაივანებს.

ომი კი მშვიდობის საპირწონე, უკიდურესი ბოროტებაა, უფლის მცნებათა დარღვევაა და მრავალთა სიცოცხლის ხელყოფა.

საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ქვეყანა მტერთა შემოსევებს იგერიებდა და მშვიდობა მუდამ სანუკვარი გვქონდა. დღესაც ქვეყანა უმძიმეს პერიოდს გადის და ძალისამებრ ჩვენისა გვმართებს, ვიზრუნოთ ჩვენი მშვიდობიანი ხვალინდელი დღისათვის, ვიზრუნოთ ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისათვის, ჩვენს ძმებთან – აფხაზებთან და ოსებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძვლის შექმნისთვის.

შევთხოვ უფალს, მოწყალე თვალით მოხედოს საქართველოს და დიდ ჭირთა და განსაცდელთაგან გვიხსნას.

ვკადნიერდები და ასევე ვთხოვ ტკბილ იესოს, როგორც აკურთხა მან მშვიდობით აღდგომის შემდეგ მოციქულები, უკრაინა და მთელი მსოფლიო ღირს-ყოს მიმართვისა: „მშვიდობა თქვენდა!“

ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო,

მაშ, ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით და ვიქადდეთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულით.

ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით და შევიმოსოთ მისი ძლიერებით.

ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით, გვქონდეს სასოება ღმერთთან ერთობისა და ნუ იქნება ფუჭი ჩვენი რწმენა.

ქრისტე აღდგა!

ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით და ერთობით ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომელსა შვენის პატივი და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

სიყვარულით თქვენთვის
მლოცველი, ილია II სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატ-
რიარქ თბილისი,
აღდგომა ქრისტესი, 2023 წ.

ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, ჩვენო მეგობრებო!

დიდი მადლობა ოთხმოცდაათწლოვანი იუბილეს მოლოცვისა და კეთილი სამომავლო სურვილებისათვის...

ძალიან გაგვახარა ასეულობით ჩვენებურის, ჩვენი გაზეთის მკითხველების და მეგობრების საიუბილეო მოლოცვებმა...

არც ჩვენ დაგვიკლია თქვენთვის სამადლობელი სიტყვები... მაგრამ კვლავ და კვლავ კიდევ ერთხელ გიხდით გულწრფელ მადლობას, რომ მოგვეფერეთ, რომ გაგვამხნევეთ და სამომავლო წარმატებები გვისურვეთ...

დიდი მადლობა თქვენ!

P.S. როცა გაზეთის ეს ნომერი მზადდებოდა, გადავწყვიტეთ, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, რედაქციაში შემოსული ასეულობით მოლოცვიდან რამდენიმე უცვლელად დაგვებეჭდა ამავე ნომერში...

აქვე გავამხელთ, რომ საიუბილეო მილოცვა რედაქციაში პირველმა ჩვენმა მუდმივმა მკითხველმა, ზედა სიმონეთელმა ქალბატონმა **მზია აბულაძემ** გამოგვიგზავნა.

დიდი მადლობა პოეზიის მოყვარულ ამ ქალბატონს თანამშრომლობისათვის და საიუბილეო 90 წლის მოლოცვისათვის. პოეზიის მოყვარულებს სხვადასხვა ხედვა და გემოვნება აქვთ. ზოგს რა მოსწონს და ზოგს—რა, მაგრამ მათ აერთიანებთ ის, რაც მთავარია—პოეზიის სიყვარული.

ეს გვახარებს და მივესალმებით.

კი, ხანდახან გაურანდავ სტრიქონებსაც ვუნთებთ მწვანე შუქს... მაგრამ... როცა ხედავ გულწრფელობას, ლექსის სიყვარულს და ა.შ. და ა.შ. არ შეიძლება გულგრილი დარჩე ადამიანების მიმართ, რომელთაც პოეტობის ამბიცია კი არ ამოძრავებთ, არამედ—პოეზიის სიყვარული...

ქალბატონ მზიას ეხერხება სათქმელი თამამად გვითხრას, გვიამბოს პირადი განცდები. ზოგი რამ მის შესახებაც...

როგორც თავის ავტობიოგრაფიაში წერს 1947 წლის 22 თებერვალს სოფელ ზედა სიმონეთში დაბადებულა მოსამსახურის ოჯახში. მამა ამავე სოფლის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ყოფილა. დედა—ქსენია კუპრაშვილი—გოგბერაშვილისა, რვა შვილის გმირი დედა გახლდათ (6 ვაჟი, 2 ქალიშვილი).

ქალბატონ მზიას მეუღლე ნუგზარ აბულაძე, ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნება, მაშინდელი ახალგაზრდული მმართველი ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, შემდეგში კი სოფლის თავკაცის ფუნქციას ასრულებდა.

ქალბატონი მზია გახლავთ მგალობელი. როგორც თვითონ გვწერს, 23 წლის განმავლობაში, გალობდა ზედა სიმონეთის და სიქთარვის წმ. გიორგისა და ფერისცვალების სახელობის ტაძრებში.

„მადლობას ვეუბნები ღმერთს, ყოველ დილა-საღამოს ლოცვა რომ შემაძლებინა და ვლოცავ შთაგონებით ჩემს გვერდით მყოფ შვილებს, შვილიშვილებს. მართალია, მეუღლე აღარ მყავს, მაგრამ შვილები, შვილობილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები მილამაზებენ სიცოცხლეს“— გვწერს ქალბატონი მზია აბულაძე.

რედაქციისაგან: გმადლობთ ქალბატონო მზია, რომ ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, მაინც ცდილობთ იყოთ, ილოცოთ, უფალს მადლობას სწირავდეთ.

ღმერთმა ინებოს თქვენი ჯანმრთელობა და სიკეთე, დალოცვილი გამყოფოთ...

გაზეთი „თერჯოლა“

გულინა ფანჩულიძე—ჩემო ძვირფასო ადამიანებო გილოცავთ გაზეთის საიუბილეო 90-ე წელს. გისურვებთ დიდხანს გაგეხარებინოთ თქვენი ერთგული მკითხველი. უანგარო, მომთმენო და მაგარო ადამიანებო მიყვარხართ, უფალმა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად თერჯოლა.

დიმიტრი ცერცვაძე—გილოცავთ გაზეთის საიუბილეო 90 წელს. წინსვლა და წარმატებები, მრავალი კეთილი და სასიხარულო ამბით გაგეხარებინოთ მკითხველი.

ლუიზა კუპატაძე—ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, მთელი რაიონისთვის... გაზეთი „თერჯოლა“ 90 წლისაა! მოგონება იყოს იმ შესანიშნავი ადამიანების, ვინც თავისი ნიჭით, მჭერმეტყველებით, კალმის წვერით... ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენი მოსახლეობის ცხოვრებაში...

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის ყოფილ და დღევანდელ შემადგენლობას გისურვებთ ჯანმრთელობას, სიძლიერეს, მხნეობას, ალესილი მახვილივით მჭრელ სიტყვას—ერის გამთლიანების, აღორძინების, სიყვარულის და თანადგომის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში... წარმატებით გევლოთ მთელი ცხოვრება!

ლეილა კლდიაშვილი— ვულოცავ, წარმატებები თერჯოლას, მეც თქვენი შვილი ვარ. საკმაოდ ასაკოვანი და ბევრი მახსოვს ამ გაზეთის წარსულიდან. ნიკოლოზ კლდიაშვილი ჩემი ბიძა იყო, წინსვლის რედაქციიდან, ნათელი მის ხსოვნას.

ზინა ზარნაძე—გილოცავთ. კვლავაც მრავალი წელი თერჯოლელთა სამსახურში.

ეთერი ტურავა—გილოცავთ პატივისცემით! კვლავაც და დიდხანს ისმოდეს თქვენი ხმა!

ლალი ღვინეფაძე—გილოცავთ იუბილეს. მუდამ რაიონის მოვლენათა ეპიცენტრში ხართ. სასიამოვნოა გაზეთის ყოველი ნომრის გაცნობა. მოხარული ვარ, რომ ვმეგობრობთ. კიდევ მრავალი წელი თერჯოლელების გასახარად.

სოფო ბუსკივაძე—ვულოვაც ჩემს კოლეგებს. მახსოვს 80-იან წლებში ჩემი პირველი წერილი რომ დაიბეჭდა და პირველი ჰონორარი ავიღე, როგორი განცდა მქონდა. მერე სტუდენტობისას, პრაქტიკა გაზეთის რედაქციაში გავიარე, ნუგზარ გამყრელიძე იყო პრაქტიკის ხელმძღვანელი, თინა ქოჩიაშვილი ხელს მომკიდებდა, სტამბაში გადამიყვანდა და ლინოტიპზე ბეჭდვას მასწავლიდა... მერე რამდენიმე წელი ვმუშაობდი კიდეც ამ გაზეთში. კარგად მახსენდება ყველა წამი და წუთი, რომლებიც მთლიანობაში მოგონებებს ქმნიან... წარმატებებს გისურვებთ, ერთგული მკითხველი არ დაგლეოდეთ, ტირაჟი კი უსასრულო ყოფილიყოს თქვენი მუშაობის მუდმივი ხანგრძლიობისათვის.

ქეთევან ბრეგვაძე—ერთი სული მქონდა მოეტანა ფოსტალიონს გაზეთი „წინსვლა“, ავტობუსის გაჩერებაზე ველოდებოდი, ძალიან მიყვარდა და როცა საცხოვრებელი ადგილი შევიცვალე მიგროვდებოდა და მახვედრებდა ჩემი გამზრდელი დეიდა, რაიონის ამბები რომ გამეგო. კარგი დრო იყო.

თენგიზ რობაქიძე—მშვიდ და რეალურ თანამშრომლობაში გატარებული წლები საუკუნოდ გაგრძელებულიყოს თქვენით და წარმატებული მომავალი ჟურნალისტებით. მრავალი ხარება სიხარულით გაგითენოთ უფალმა.

ლალი ლილუაშვილი—გილოცავ ჩემო თერჯოლა და თერჯოლელებო ხარებას. მრავალი წელი ბედნიერ თანამშრომლობაში გაგეტარებინოთ. უფალი იყვეს თერჯოლელებო თქვენი მფარველი.

მაია ცინაძე—გილოცავთ დიდი პატივისცემით, ძალიან რომ მიყვარხართ და გაფასებთ, ყველას. ყველას მოგიკითხავთ დიდი პატივისცემით და სიყვარულით, ძალიან დიდი სიყვარულით მყავხართ გულში ყველა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო და მოვიკითხო ქალბატონი: მზია ცქიფურიშვილი, ერთგული უძვირფასესი ქალბატონი, ასევე ყველა, ყველას დიდ სიხარულს და ბედნიერებას და წინსვლა—წარმატებას გისურვებთ ჩემო თერჯოლელებო.

ნანა დიაკონიძე— გილოცავთ საუკეთესო სურვილებით, მთელი რედაქცია მიყვარხართ. განსაკუთრებით მიყვარს ბატონი ნუგზარ გამყრელიძე, იუზა მარუაშვილი, მზია ცქიფურიშვილი, ბატონები ვალტერ გოგიაშვილი და დავით კლდიაშვილი, ქალბატონი ჟუჟუნა ცხადაძე. ნათელში მყავდნენ ბატონი ვასო არაბიძე და თინა ქოჩიაშვილი.

ელისო მაკარიძე—გილოცავთ ყველა ღირსეულ თანამშრომელს, ვინც დღემდე მოგვიტანეთ გაზეთი „თერჯოლა“.

მადიმი დოლაკიძე—გილოცავთ, მეც კარგი პრაქტიკა გავიარე გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციაში თქვენს საუკეთესო გუნდთან. მაშინ ბატონი უშანგი იაშვილი იყო რედაქტორი, ბატონი იუზა მარუაშვილი მოვიდა და მითხრა: აბა შენ იცი, საინტერესო წერილებს ველოდებითო. ახალბედა ვიყავი, ვწერდი ორ-ორ წერილს თითო ნომრისთვის. ერთ დღეს მაგიდაზე ეს ექსპრომტი დამხვდა: მოხვედი გაზეთს დაეტყო, კარგი გოგო ხარ მადიმი, პატარა სუფრა მოგვიწყვე, არ გვინდა დიდი ნადიმი.

გაჩაღდა ნადიმი.

კარგად მახსენდება ქალბატონები: დიანა, ჩემი ჟენია, ქუჩუნა, თინა, იზო, ბატონები: ნუგზარ გამყრელიძე და სიმონ ტალახაძე, სტამბის თანამშრომლები... და ბევრი სხვა. ხშირად დაგვთენებია გაზეთის გამოშვების დღეს, ცენზურაც მკაცრი იყო.

ია გამყრელიძე—ვულოცავ გაზეთს საიუბილეო თარიღს, ვულოცავ ყველა თერჯოლელს! საამაყოა ამხელა ისტორიის გაზეთის არსებობა, ეს თერჯოლის კულტურის განუყოფელი ნაწილია! მადლობა გაზეთის ყველა დროის ყველა თანამშრომელს თავდაუზოგავი და კეთილსინდისიერი შრომისათვის, მადლობა მის მკითხველებს.

რუსუდან კოვზირიძე—ყველა დროის ბეჭდვით მედიასთან ჩვენი ერთადერთი წარმომადგენელი იყო და დარჩა დღემდე... ვწუხვარ, რომ მისი შვილობილი, საბავშვო გაზეთი „ათინათი“ აღარ ფუნქციონირებს... გილოცავთ ამ დიდ იუბილეს. ყველა მის თანამშრომელს, გარდაცვლილებს ნათელი დაადგეთ. თქვენ კი ასი წელი გეკეთებინოთ თქვენი საქმე...

აზა მემანიშვილი—გილოცავთ დიდი სიყვარულით! კიდევ მრავალი წელი გეღვაწოთ თქვენი მკითხველის გულის გასახარად! დედა მოუთმენლად ელის დღესაც ყველა ნომერს!

მანანა წერეთელი—ვულოცავ ჩემს საყვარელ გაზეთს იუბილეს. გისურვებთ დიდ წარმატებებს.

ნანა კვინიკაძე—გილოცავთ იუბილეს დიდი პატივისცემით. მაქვს 1941-1945 წწ. „ჩხარის კოლმეურნე“-დან ამოწერილი წერილები, რომლებიც ეძღვნება დიდი სამამულო ომის წლებში ჩხარის რაიონის კოლმეურნეობათა შრომით საქმიანობას და მათ მიღწევებს.

მზია რობაქიძე—გილოცავთ იუბილეს. მიხარია ძალიან და ბევრი კარგი და ტკბილი მოგონებები მაკავშირებს თერჯოლის სტამბა-რედაქციასთან. ჩემი დედა, ფიქრია აბულაძე, წლობით მუშაობდა, მეც თითქმის მანდ გავიზარდე. დღეს ჩემი დედიკო აღარ არის, მაგრამ მე მიხარია მის მაგივრად და მე გიხდით მადლობას.

ზურაბ ჩაფიჩაძე—ყოველთვის საუკეთესო, უბერებელი და აკადემიური კოლექტივი.

რევაზ რობაქიძე—ბატონი ვალიკო რობაქიძის პერიოდიდან დღემდე ყველას გიცნობთ! კიდევ ერთხელ გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!

ლალი ჩაფიძე—გილოცავთ იტალიიდან.

ზოია თურქაძე—გილოცავთ, გაიხარეთ, ჩვენი გაზეთი ჩვენი რაიონის სახეა, წარმატებები თქვენ.

რუსუდან ბოგვერაძე—გილოცავთ, გეფერებით, მიყვარხართ.

ნანი-ნანი—ვულოცავ ჩემ თერჯოლას ამ იუბილეს, მოგესალმებით ათენიდან.

თამრიკო გოგნაძე—როგორ მიყვარდა „წინსვლა“. შტატგარეშე კორესპონდენტიც კი ვიყავი ცოტა ხანს, წარმატებებს გისურვებთ!

თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკა—გილოცავთ!

ნაილი ლილუაშვილი-დვალი—გილოცავთ იუბილეს, გქონოდეთ ხალხის კარგი რეაქცია, წინსვლა თქვენს შრომას.

ნატა ქავთარაძე—გილოცავთ, კარგად მახსოვს გაზეთი „წინსვლა“.

ზაზა თორთლაძე—მე წინსვლიდან მახსოვხართ, გილოცავთ.

ნანული ბოგვერაძე—გილოცავთ, ძალიან მიყვარდა გაზეთ „წინსვლას“ წაკითხვა, დიდხანს გეარსებოთ.

ნანი სირბილაძე—იარსებოს გაზეთმა უკუნითი უკუნისამდე და შემდეგაც.

როგნეტა ჩიტიძე—გილოცავთ, სიტყვის გამჭრიახობა და ხმათა სიმრავლე არ მოგკლებოდეთ.

ლიანა ზამბახიძე—გილოცავთ, წარმატებული და კარგი სტატიები.

დარეჯან აბესაძე—ვულოცავ გაზეთს იუბილეს! ბევრი სიახლეებით და კარგი ამბებით გაეხარებინოს ადამიანთა გულები!

ზაურ კირკიტაძე—ვულოცავ დაბადების დღეს მშობლიურ თერჯოლის გაზეთს, წინსვლა და წარმატებები.

ლია ლილუაშვილი—გილოცავთ ჩემო „თერჯოლა“ შენ დღეს, ბევრი სიკეთე მოგეტანოს შენი თერჯოლელებისთვის. მრავალი წელი ბედნიერ თანამშრომლობაში გაგეტარებინოთ. უფალი იყვეს თერჯოლელებო თქვენი მფარველი.

სულიკო აბულაძე—დღეგრძელობას და მზეგრძელობას ვუსურვებ გაზეთ „თერჯოლას“.

გულნაზი კვატაია—გილოცავთ გაზეთ თერჯოლის იუბილეს, წარმატებებს გისურვებთ თერჯოლა და თერჯოლელებო.

დიდი მადლობა თქვენ გულწრფელი მოლოცვებისათვის!

გიორგი ლილუაშვილი ახალ თანამდებობაზე დაინიშნა

გასულ თვეში, ვეტერანების საქმეთა სამსახურის დირექტორი, გენერალ-მაიორი კობა კობალაძე რეგიონებში ვიზიტის ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელებს შეხვდა.

სტუმარი დაინტერესდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ომის ვეტერანების ყოფითა და ცხოვრებით. განიხილეს რიგი საკითხებისა.

ბატონმა კობალაძემ შეხვედრის მონაწილეთ თერჯოლის მუნიციპალიტეტში უწყების რეგიონული მართვის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს ახალი თანამშრომელი, ომის ვეტერანი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საომარი მოქმედებების მონაწილე გიორგი ლილუაშვილი წარუდგინა.

შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას ბატონმა კობა კობალაძემ ვრცლად მიმოიხილა ვეტერანთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების, პრიორიტეტული პროგრამების შემუშავების, სამსახურის ბენეფიციართა ჯანდაცვის სერვისებით უზრუნველყოფის, ამ კუთხით ვეტერანთა წინაშე არსებული გამოწვევებისა და მათი დაძლევისათვის სამსახურისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა კოორდინირებული მუშაობის გაღრმავების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ და მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ბატონები: მანუჩარ რობაქიძე, მირზა ქოჩიაშვილი, საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე ნიკოლოზ კვეზერელი, დირექტორის მრჩეველი ვლადიმერ იმნაძე, სამსახურის რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსი ლევან ამირიძე და ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლები.

პაატა მხეიძე: „ასეა, სიკეთე გადამდებია!“

პაატა მხეიძე, როგორც ერთ-ერთი ღირსეული თერჯოლელი, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ გასული წლის მიწურულს, კერძოდ, წინასაახალწლო დღეებში, საზოგადოებას თერჯოლის ახალი საპატიო მოქალაქეთა ოთხეულის შემადგენლობაში წარუდგინა. ომარ ნიშნიანიძე, ნარგიზ ცქიფურიშვილი, დემირ დოლაკიძე ჩვენი გაზეთის მეშვეობით მკითხველს, უფრო დაწვრილებით უკვე გავაცანით. დაწვრილებითი ინფორმაცია ბატონი პაატა მხეიძის შესახებაც გავაჟღერეთ, მაგრამ რედაქციაში გვქონდა მის მიერ გამოგზავნილი ერთი საგულისხმო წერილი, რომელიც დღემდე არ გამოგვიქვეყნებია. ამჯერად სწორედ ამ წერილს გთავაზობთ სათაურით— „ასეა, სიკეთე გადამედებია“.

ალბათ ბევრი არ დამეთანხმება, მაგრამ ვთვლი, რომ ჩემი თაობის ბავშვობა და სიყმაწვილის პერიოდი ბევრად უფრო საინტერესო იყო, ვიდრე დღევანდელი. გამოირჩეოდა მეტი ახლობლობით, სპორტული აქტივობით, ინტერესების ფართო სპექტრით, მეტი ერთგულებით და სხვა.

სამწუხაროდ, უმეტესწილად, კომპიუტერმა და ხელის ტელეფონმა ამ მხრივ ბევრი რამ შეცვალა, ცოცხალი პირადი ურთიერთობები მოგვაკლდა უპირველესად... ბავშვობისას მეც დიდ დროს ვატარებდი ჩემს მეგობრებთან, მაგრამ მუდმივად ვგრძნობდი ზურგს უკან მშობლების მზერას და სუნთქვას.

ოჯახში ჩემს მიმართ მომთხოვნელობა ძალიან მკაცრი იყო და-ძმებისგან განსხვავებით. ალბათ ამანაც განაპირობა, რომ ყმაწვილკაცობისას რაიმე მნიშვნელოვანი გადაცდომა არ მქონია.

ჩემს ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა წიგნმა. ჯერ კიდევ მესამე კლასში ვიყავი, როცა სასკოლო სახელმძღვანელოს შიგნით ვდებდი კლასგარეშე საკითხავს და ისე ვკითხულობდი, რომ მშობლებს არ დაენახათ. მერე უკვე ბიბლიოთეკის გამგე, უკეთილშობილესი ქალბატონი შურა დოლაბერიძე (სოსო მხეიძის მეუღლე) მიზანმიმართულად მამარაგებდა შესატყვისი ლიტერატურით.

იმდენად „მოვიწამლე“ ამ უკიდეგანო სამყაროს შეცნობით, რომ ძალიან მალე ვისწავლე სწრაფი კითხვა და ბავშვობის ეს ჩვევა დღემდე მომყვება.

მახსენდება, როდესაც მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამომცდელმა მაღალი ნიშნისთვის წამიყვანა ქართულ ენასა და ლიტერატურაში კომისიის თავმჯდომარე მზექალა შანიძესთან. იმ პერიოდის ტრენდი იყო ქალბატონი მზექალას გამონათქვამი—„ხუთიანზე ქართული აკაკი შანიძემ იცოდა, მე ოთხზე და თქვენ შემდეგო“...

ქალბატონმა მზექალამ მკითხა თუ ვკითხულობდი კლასგარეშე ლიტერატურას და მთხოვა ჩამომეთვალა რა მქონდა წაკითხული. მე გავკადნიერდი და ვუპასუხე, ქართულად რაც არის გამოცემული, ყველაფერი მაქვს წაკითხული-მეთქი. გასაგები მიზეზების გამო ჩემი პასუხი იუმორნარევი ირონიით მიიღო და მკითხა: აბა დუმბაძის „მარადისობის კანონი“ მითხარი რაში მდგომარეობსო?

იმ დროისთვის ეს რომანი გამოცემული არ იყო და მხოლოდ „ცისკარში“ თუ „მნათობში“ იბეჭდებოდა. ჩემი პირველი გამარჯვება მოვიპოვე—ხუთიანი დამიწერეს. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მეთორმეტე სართულიდან კიბეები სიხარულისაგან აღტკინებულმა 5 წამში ისე ჩამოვირბინე, მგონი საფეხურებზე ფეხი არც დამიდგია. ნეტავ იყოს შესაძლებელი, ყველამ „მარადისობის კანონის“ პრინციპით იცხოვროს, რამდენად მომხიბლავი გახდებოდა სამყარო და ჩვენი ყოველდღიურობა.

შემდეგ იყო რუსთავი, რომელსაც ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც ყმაწვილკაცობისას, ისე დღემდე. სწორედ აქ ამირჩიეს თავის რჩეულად საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში რუსთაველებმა.

რუსთავში მომიწია მემუშავა ბუმბერაზი ქართველის, სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული ჟიული შარტავას ხელმძღვანელობით, რომელიც სიცოცხლეშივე იყო გმირი, შემკული საოცარი სამეურნეო, პოლიტიკური თუ სხვა უნარით. მისმა აფხაზეთში ტრაგიკულმა დაღუპვამ კიდევ უფრო გამიმძაფრა ის ტკივილი, რომელიც მუდმივად მქონდა ამ ზღაპრული კუთხის მიმართ ოკუპაციის შემდეგ.

აფხაზეთში ჯერ კიდევ სკოლის ასაკში დავდიოდით დასასვენებლად 6 წლის მანძილზე ჩემს თერჯოლელ მეგობრებთან ერთად (თემური დოლაკიძე „ძიგო“, დათო ყაზაიშვილი, ავთო უკლება, ვახო ზარნაძე) და შემდგომაც დიდობაში, როცა პირადად მე ვაგზავნიდი საგზურით რუსთაველ ახალგაზრდებს მთელ ევროპაში და სხვა ქვეყნებში, მე საქორწინო მოგზაურობაში, მეუღლესთან ერთად, სწორედ ბიჭვინთაში წავედი, მიუხედავად იმისა, რომ 1990 წელს ეს ძალიან სარისკო იყო. მახსოვს თითქმის ყველა დეტალი, გაგრიფში, გაგრის ულამაზესი პარკი, ბიჭვინთის საკათედრო ტაძრის ორღანი, გაგრიფშის თავზე ხუთი წუთის სავალზე თოვლი აგვისტოში და სხვა უამრავი. თითოეული ქვა როგორ დავტოვეთ, ამიტომ, ვერასოდეს ვერ შევეგუები აზრს, რომ ეს „შავი ზღვის მარგალიტი“ შეიძლება ვინმემ მოწყვიტოს დედასამშობლოს.

ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ ერთმანეთს. თუ რა მაძლევს ამის თქმის საბაბს მოგახსენებთ. 80-იანი წლების ბოლოს მივლინებით გახლდით ყაზახეთის ქალაქ სემიპალატინსკში. ამ დროისათვის საქართველოში ეროვნული მოძრაობა ზენიტში იყო, ხოლო ყაზახეთში სრული უძრაობა, ამიტომ, ძალიან გამიკვირდა, როცა ქალაქში 5 ათასიან მიტინგს გადავაწყდი. მიტინგი ეკოლოგიური ხასიათის იყო და ეხებოდა ბაიკონურის კოსმოდრომის მავნე ზემოქმედებას გარემოზე.

საილუსტრაციოდ, მიტინგის წამყვანმა მონაწილეებს წარუდგინა პატარა ბიჭი იმ რეგიონიდან და იკითხა რა ასაკის იქნებოდა ის. შეკრებილმა საზოგადოებამ წამოიძახა—3-4 წლისაო. აღმოჩნდა, რომ მოზარდი 12 წლის იყო და აღარ იზრდებოდა, ხოლო ასეთი ზრდაშეფერხებული ბავშვები კოსმოდრომის ირგვლივ დასახლებაში უამრავი იყვნენ.

ეს იმდენად მძიმედ აღსაქმელი ამბავია გულგრილს ვერავის დატოვებდა, მაგრამ მე ამაზე უფრო მეტად შემზარა იმ ფაქტმა, რომ მიტინგზე წარმოდგენილ 30 წლამდე ახალგაზრდებიდან, თითქმის არცერთს არ ქონდა ყაზახური თვალების ჭრილი. სამაგიეროდ, მრავლად იყვნენ ქერათმიანი, ცისფერთვალება და სლავური ჰაბიტუსის ახალგაზრდები, როგორც შედეგი რუსებთან შერეული ქორწინებისა.

ეს მოხდა უკიდეგანო და რიცხობრივად ჩვენზე მრავალჯერ აღმატებულ ყაზახეთში და რა ელოდება მცირერიცხოვან აფხაზეთს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ამიტომ, ამ უძველესი ეთნოსის ფიზიკურად გადარჩენის ერთადერთი გზა საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაა.

შემდეგ იყო სხვადასხვა საპასუხისმგებლო, უმეტესად რთული სპეციფიკის სამსახურები. იყო გამარჯვებები, იმედგაცრუებაც, მაგრამ ამ ყველაფერმა ერთად შემძინა გამოცდილება და რაც მთავარია, ძალიან ღირსეული და საინტერესო ადამიანები. უფლის მადლიერი ვარ იმით, რომ ცხოვრების ყველა ეტაპზე მახვედრებდა ასეთ პიროვნებებს. ადრეც მითქვამს და გავმეორდები, მათგან, რამდენიმე იყო გამორჩეული ღირსების, ინტელექტის, ადამიანობის, მიმტევებლობის, მოყვასზე ზრუნვის და შეუმცდარობის მეტრი. ამ ხალხს მარტო მე კი არა, მთელი საქართველო ეთაყვანებოდა უამრავი სიკეთის გამო.

არ მავიწყდება როგორ ხვდებოდა თბილისში ჩამოსულ თერჯოლელებს ნუგზარ გაბრიჩიძე, როგორც უბრწყინავდა თვალები სიკეთის კეთებისას, არადა ეს თხოვნები საყოფაცხოვრებო ხასიათის იყო და არა სამართლებრივი.

ან როგორ მიიჩნევდა თავის ღვანკითს მსოფლიოს ჭიპად და როგორ ზრუნავდა მის განვითარებაზე, შემდგომში მისივე სახელობის სკოლაზე, ღვანკითელებზე, მათ მიერვე ჰუმანოიდამდე ამაღლებული ჩემი უფროსი მეგობარი გურამ ქარქაშაძე. ალბათ ბევრმა არ იცის, რომ თავისი მკაცრი პროფესიის მიღმა იგი იყო ძალიან ფაქიზი სულის ადამიანი, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით და აკაკი ხორავას სასცენო ხელოვნებისადმი მიძღვნილი წიგნით.

მარადიული ნათელი მათ სპეტაკ სულებს. არ შემიძლია არ ვთქვა განსხვავებული ხიბლის, ვაჟკაცობის, უღალატობის, კაცურ-კაცობის მაგალითი ადამიანზე და თხემით ტერფამდე ინტელექტ ჯიმი ყიფიანზე, რომლის მაგალითებზე თაობები აღიზარდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თუ ქვეყნის პოლიტიკურ სარბიელზე. დღემდე ღრმად მწამს, რომ ამ ყველაფრის მთავარი გენეტიკური მდგენელი ჩვენი მშობლიური რაიონის სიყვარულია, რომელსაც ძალიან ბევრი გამორჩეული თერჯოლელი გამოუკვებ-გამოუზრდია და ბევრსაც წარმოაჩენს სამომავლოდ...

ამ ვითარებაში გალაკტიონის არ იყოს, სხვისი მისაბაძი რა მჭირდა, როცა ასეთი ჩემიანების პირადი მაგალითები მქონდა. ასეა, სიკეთე გადამდებია!

პაატა მხეიძე

„იმერმედის“ სიახლეები

...მრავალრიცხოვანია კლინიკა „იმერმედის“ სერვისთა ჩამონათვალი. ახლახან ნევროლოგიური განყოფილების ბაზაზე შეიქმნა რეგიონალური ნეიროფიზიოლოგიური მიმართულება, ელექტროენცეფალოგრაფიის კაბინეტი. ეს არის შესაძლებლობა, რათა იმერეთში მცხოვრებმა ეპილეფსიით დაავადებულმა პაციენტებმა მიიღონ სრულყოფილი დიაგნოსტირება და მკურნალობა.

პაციენტების მომსახურებაზე ზრუნავს გამოცდილი, კომპეტენტური ექიმი ნევროლოგი, ნეიროფიზიოლოგი, ნევროლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი სოფიო ბუსკივაძე, უმცროსი ექიმი მაგდა ნიკოლაძე და ფსიქოლოგი რატი ბოჭორიშვილი.

ეპილეფსია თავის ტვინის ქრონიკული დაავადებაა, რომელიც მოსახლეობის 1%-ს აღენიშნება. ამ დაავადების დიაგნოსტიკა რაიონში არ ხდებოდა, ამიტომ კლინიკამ შეიძინა ულტრათანამედროვე იტალიური წარმოების, უახლესი მოდელების ელექტროენცეფალოგრაფიის აპარატი. გაჩნდა იმის რწმენა, რომ ეპილეფსიური კვლევის ჩატარება შვებას მისცემს ეპილეფსიით დაავადებულ ადამიანებს და მათ ოჯახებს, აპარატით შესაძლებელია ინფორმაციული კვლევა ამ დაავადების მქონე პირებში, როგორც დიდებისათვის, ასევე ბავშვებში. ამავე აპარატით შესაძლებელია სხვა ორგანული პათოლოგიის გამოკვლევაც.

კლინიკა „იმერმედის“ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით „ეპილეფსიის კვირეულის“ ფარგლებში ექიმის კონსულტაცია იყო უფასო, ელექტროენცეფალოგრაფიული კვლევა ჩატარდა 50%-იანი ფასდაკლებით, ნაცვლად 100 ლარისა 50 ლარად.

სამომავლოდ

ეპილეფსიის წარმატებით მკურნალობისათვის მნიშვნელოვანია პაციენტისა და საზოგადოების ინფორმირება დაავადების შესახებ. ეპილეფსია არის დაავადება, რომელიც ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, ზუსტი დიაგნოსტიკის და სწორად შერჩეული მკურნალობისას, შემთხვევათა 80%-ი განკურნებადია. მსგავსი კვირეულები მომავალშიც ჩატარდება.

ამ დღეებში სამედიცინო გასინჯვები ჩაუტარდა იმ ადამიანებს, ვისაც აქვს ეპილეფსია ან ეჭვი ეპილეფსიაზე. მოწვეული იყვნენ წამყვანი სპეციალისტები—ეპილეფტოლოგები, ფსიქოლოგები, ნეირო-ფიზიოლოგები, ამასთან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა, ნევროლოგიისა და ნეიროფიზიოლოგიის უნივერსიტეტის პროფესორმა—სოფიო კასრაძემ ტრენინგ კურსი ჩაატარა რეგიონში ეპილეფსიის ცნობადობის გაზრდის საკითხებზე, განიხილა ეპილეფსიის თანამედროვე მკურნალობები და მეთოდები.

„იმერმედი“ განაგრძობს ახალი სერვისების შემოტანას და უკვე არსებულის გაძლიერებას. კლინიკაში არიან გამოცდილი, კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთა საქმიანობაზე, პაციენტებთან დამოკიდებულებაზე, მიღწეულ წარმატებებზე და მადლიერებაზე ჩვენ მომავალშიც დავწერთ...

დავთარხანიდან ელექტრონულ არქივამდე

***არქივები, როგორც საქმიანი ქაღალდების და საბუთების საცავები, ძველ საქართველოშიც არსებობდა, იმ დროიდან, როცა გაჩნდა წერილობითი ძეგლები. პროკოპი კესარიელის ცნობით ლაზიკის მეფის დესპანები ლაზიკისა და ირანს შორის ძველი დროიდან არსებული მეგობრული დამოკიდებულების დასამტკიცებლად იმოწმებდნენ ამ ორის ქვეყნის მიმოწერის შემცველ საბუთებს, რომელიც ინახებოდა როგორც ლაზიკაში, ისე სპარსეთში. მემატიანეს ცნობით თბილისში XIII ს-ში, არსებობდა სახელმწიფო არქივი—დავთარხანა. XIV-ს ღირშესანიშნავ ძეგლში „ხელმწიფის კარის გარიგებაში“—საბუთებსა და სხვა ხელნაწერების საცავად მოხსენიებულია „გოდორი“, რასაც ზარდახანის მნიგნობარი და მეგოდრე განაგებდა. სახელმწიფო არქივის გარდა არსებობდა საეკლესიო სამონასტრო არქივები. 1918 წელს საბჭოთა რუსეთში გამოიცა დეკრეტი „საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ“, რომლის თანახმად ყველა დოკუმენტური მასალა შევიდა ერთიან საარქივო ფონდში. ცენტრალური არქივი შეიქმნა საქართველოშიც. მომზადდნენ საარქივო სპეციალისტები. საარქივო საქმემ ძირეული გარდაქმნა განიცადა, დაცული იყო დიდძალი მასალა.*

ამჟამად საქართველოს ეროვნულ არქივში მიმდინარეობს პროექტი, რომლის მიზანია სახელმწიფოში ელექტრონული არქივირების სისტემის შექმნა.

ტრენინგი—საქმისწარმოება და საარქივო საქმე

„ითანამშრომლეთ არქივთან, შევქმნათ ელექტრონული არქივის სისტემა—ეს საქვეყნო საქმეა“—თქვა ტრენინგის მსვლელობისას საქართველოს ეროვნული არქივის, თერჯოლის ადგილობრივი არქივის წარმომადგენელმა შორენა კილაძემ და ზუსტად მიესადაგება ეს სიტყვები არქივს. დიახ, არქივის წესრიგში, მოთხოვნების დონეზე მოყვანა, ნამდვილად არის საქვეყნო საქმე.

ტრენინგზე, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში ჩატარდა—საინტერესო თემა იქნა განხილული—საქმისწარმოება და საარქივო საქმე. ქალბატონ შორენასთან ერთად ტრენინგის მუშაობას ორგანიზებას უწევდა და საინტერესო თემებზე საუბრობდა ზესტაფონის რეგიონული არქივის დირექტორი ინგა ჭიღლაშვილი. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, საკრებულოს წარმომადგენლები, აიპების და სკოლების ბუღალტრები და საქმისმწარმოებლები. აუდიტორიას გაეცნო, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში ხორციელდება პროექტი, რომლის მიზანია სახელმწიფო ელექტრონული არქივების სისტემის შექმნა.

ელექტრონული არქივირების პირველ ეტაპზე შემუშავდა კომუნიკაციის ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ეროვნულ არქივსა და დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებებს შორის გამარტივდება ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობის პროცესი. კომუნიკაციის ელექტრონული სისტემა ერთ სივრცეში გააერთიანებს მონაცემებს სახელმწიფო დაწესებულებების, თვითმმართველი ორგანოების საარქივო ფონდების, საცავების, ნომეკლატურების, საუწყებო ნუსხების, საექსპერტო კომისიებისა და შესაბამისი მარეგლამენტირებელი დოკუმენტების შესახებ. პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა და დაკომპლექტების წყარო—დაწესებულებების შესახებ

დაზუსტებული ინფორმაციის შეკრება. ორგანიზაციებმა უნდა გამოჰყონ საარქივო საქმეზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ყოველი წლის ბოლოს ჩაიბარებს საქმის მწარმოებლიდან და ბუღალტრიდან დოკუმენტებს.

საარქივო საქმე მუნიციპალიტეტში

ტრენინგზე აღინიშნა მუნიციპალიტეტის ორგანოებში არსებული მდგომარეობა საარქივო მასალების მოვლა-შენახვის საქმეში. დაარქივებულია და სამეცნიერო-ტექნიკურად დამუშავებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის აიპების 85%, მერიის 95%, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 85%, სკოლების 60%.

ქალბატონმა შორენამ ხაზი გაუსვა საჯარო სკოლებთან საინტერესო საქმიანობას. „რამდენიმე სკოლის მუშაობამ და დამუშავებულმა დოკუმენტებმა გაოცება გამოიწვია, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ზედა ალისუბნის №2 საჯარო სკოლა (დირექტორი ლალა კუპატაძე, საქმისმწარმოებელი მარინა ნიორაძე, ბუღალტერი თამარ ზარნაძე) და თერჯოლის №2 საჯარო სკოლა (დირექტორი რუსუდან უსუფაშვილი, საქმის მწარმოებელი მირანდა დევიძე, ბუღალტერი ზაირა კუპატაძე).

ასეთი მოწესრიგებული კანცელარია და ბუღალტერია იშვიათად მინახავს—აღნიშნა შორენა კილაძემ ჩვენთან საუბარში და გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ მალე ყველა სკოლა ამ სკოლების მსგავსად მოაწესრიგებს საარქივო დოკუმენტაციებს.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ტრენინგის სულისკვეთებას იმის თაობაზე, რომ საარქივო საქმე —საქვეყნო საქმეა.

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

ევრო—2023

უეფას 21 წლამდე ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი საქართველოში ჩატარდება

21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით, რუმინეთთან ერთად, ჩემპიონატს საქართველოც უმასპინძლებს. ჩემპიონატის გამართვის უფლება საქართველომ 2020 წლის 3 დეკემბერს, უეფას აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით მიიღო. ჩემპიონატის დებულების თანახმად, ორივე მასპინძელი ქვეყანა ფინალურ ეტაპზე საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის გარეშე ითამაშებს. ევროპის ჩემპიონატი 21 ივნისს საქართველოსა და რუმინეთში საზეიმოდ გაიხსნება.

ჩემპიონატში მონაწილე 16 ევროპული ნაკრები ოთხ ჯგუფშია განაწილებული და თითოეულ მასპინძელ ქვეყანაში ორ-ორი ჯგუფის შეხვედრები ჩატარდება.

საქართველოს 21-წლამდე ნაკრები A ჯგუფში პორტუგალიის, ბელგიის და ნიდერლანდების ნაკრებებთან ერთად ითამაშებს.

ახალგაზრდულ ნაკრებთა ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი სამ ქალაქში, 4 სტადიონზე ჩატარდება: ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში (ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი).

A ჯგუფის სამი მატჩი საქართველოს ნაკრების მონაწილეობით თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ გაიმართება. A ჯგუფის დანარჩენ სამ მატჩსა და მეოთხედფინალს კი თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი უმასპინძლებს.

C ჯგუფის სამი მატჩი, ნახევარფინალი და ფინალური შეხვედრა ბათუმში „ბათუმი არენაზე“ გაიმართება, ქუთაისის, შენგელიას სახელობის სტადიონი კი C ჯგუფის სამ მატჩს და მეოთხედფინალს უმასპინძლებს.

საქართველო და რუმინეთი ფინალურ ეტაპზე საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის გარეშე ითამაშებენ.

თამაშებისათვის ბილეთების გაყიდვა უკვე დაიწყო...

* * *

ვემზადებით დიდი ფეხბურთისათვის...

ყველამ ერთად, ყველამ ერთად ვუგულშემატკივროთ ჩვენს ბიჭებს.

ვიმედოვნებთ, რომ ჭაბუკთა წინამდებარე ძალთა შემოწმება ჩვენს ქართულ ფეხბურთს ახალ კვარაცხელიებს შესძენს. ეს უნდა ვიწამოთ. ეს უნდა დავიჯეროთ.

ჩვენ ამ კატეგორიული მოლოდინების საფუძველი გვაქვს. ისტორიული რეალობა გვიდასტურებს.

ამ იმედით, ამ რწმენით დაველოდოთ ახლო მომავალს.

ვიქტორინა ფეხბურთის თემაზე

ჩამოთვალეთ ფეხბურთელი ძმები, რომლებიც სხვადასხვა წლებში თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავდნენ:

ბორის და ავთანდილ პაიჭაძეები; გაიოზ და სპარტაკ ჯეჯელავები; კარლო და ნიკოლოზ გაგნიძეები; მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები, შოთა და არჩილ არველაძეები.

გაიხსენეთ გამოტოვებული ძმები.

— 1945 წელს თბილისის „დინამომ“ თავისი პირველი გასვლითი საერთაშორისო ტურნე წაუგებლად ჩაატარა ორ ქვეყანაში—დაასახელეთ...

— სად შეარქვეს ბორის პაიჭაძეს „ფეხბურთის კარუზო“?

— „ის თავზარდამცემი იყო, როგორც ვულკანი და ლამაზი, როგორც ტანგო!“ დაასახელეთ რომელი ქვეყნის სპორტულმა მიმომხილველმა შეამკო წინამდებარე ეპითეტით მიხეილ მესხის თამაში.

— „ფეხბურთის მოედანზე ისე დადიოდა, როგორც სოფლის სკოლის დირექტორი თავისი სკოლის ეზოში“. რომელ ქართველ ფეხბურთელს მიუძღვნა უცხოელმა ჟურნალისტმა წინამდებარე სტრიქონები?

— წარსულში თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი გავრილ კაჩალინი თამაშზე გასვლის წინ, როგორც წესი, ყოველ ფეხბურთელს პერსონალურ დავალებას აძლევდა. გამონაკლისი მხოლოდ ბარქაია იყო.

როცა ამით ჟურნალისტები დაინტერესდნენ გუნდის დამრიგებელმა მოკლედ უპასუხათ: გაიხსენეთ მწვრთნელის პასუხი.

—დაასახელეთ პორტუგალიის ერთ-ერთი პრესტიჟული საფეხბურთო კლუბის თერჯოლელი მეკარის სახელი და გვარი.

— იქნებ სამგზის მსოფლიო ჩემპიონის ბრაზილიის ერთ-ერთი ცნობილი ფეხბურთელის... ქართული გვარი გაიხსენოთ?

—გაიხსენეთ ავთანდილ ღოღობერიძის ფსევდონიმი...

და ბოლოს დიდი გალაკტიონი! აბა, მის გარეშე როგორ იქნება, ის ხომ „დინამოს“ სტადიონის ხშირი სტუმარი იყო!

ახლა კითხვა ბატონ გალაკტიონს რომ დაუსვეს:

დაგვისახელეთ თქვენი საყვარელი სპორტი.

პოეტის პასუხი ორსიტყვიანი იყო: პირველი—ფეხბურთი!

მეორე ... მკითხველისთვის მიგვინდვია.

ვიქტორინა შემოგთავაზათ თერჯოლის ფეხბურთელთა გუნდის „ციცქის“ ყოფილმა წევრმა, რომელიც წლების განმავლობაში ამაოდ ელოდა რომელიმე ცნობილი კლუბიდან მიწვევას!!!

ხვიჩა კვარაცხელია, ანუ—კვარა, კვარა, კვარა!..

ადამიანები ხარობენ ან სწუხან, აშენებენ ან ანგრევენ, ხატავენ, ყვავილებს რგავენ... ფიქრობენ...

ცხოვრება კი გრძელდება, მიდის, მიიიდის ფიქრებში თავჩარგული...

მერე... ერთგვარი მოწყენილობისა თუ სიჩუმის ჟამს რაღაც მოხდება. საამოდ მონაბერი ნიავი დაუბერავს და... უცებ განათდება!.. ასეთი რამ „ნაპოლის“ სტადიონზე ხვიჩა კვარაცხელიას გამოჩენისას მოხდა. 100 ათას კაციანი ფეხბურთით შეშლილი ტიფოზი ფეხზე რომ წამოყარა... უცხოელთათვის ენისმოსატეხმა გვარმა როდი შეაკრთო იტალიელი მაყურებელი... წამიერი სასიამოვნო გარინდებისთანავე „შეიკერა“ ახალი შემოკლებული გვარი—კვარა!

მორჩა და გათავდა, არავითარი სხვა, სანოტარო კანტორის მიერ გაცემული ბეჭედდასმული ფურცელი!

ერთი გამხდარი, ლამაზი ქართველი ბიჭის სახელი „კვარა“ უმალვე პირზე დაიკერა მთელმა საფეხბურთო სამყარომ.

ნუგზარ გამყრელიძე

ავტორის მინაწერი:

როგორი სიამაყითა და სიყვარულით იწერებოდა წინამდებარე საგაზეთო სტრიქონები ადვილი მისახვედრია... ფიქრებს შორეთს იქითა შორეთს მივყავდი...

საქართველოს ნაკრებისთვის ერთი კვარა კმარა? კი, თუ არა?..

ნორვეგიის ნაკრებთან ამასწინანდელმა შეხვედრამ გააჩინა ეს კითხვის ნიშანი!

ისე...

თამაში იყო შესანიშნავი...

ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები და ფინალური შეხვედრა აქ, ბათუმის საფეხბურთო არენაზე გაიმართება.

თამაშებისათვის ბილეთების გაყიდვა დაწყებულია...

ქართული, ენების დედაა, ტყუილად არ იწოდების დედაენად...





14 აპრილი განსაკუთრებული დღეა საქართველოში, თითოეული ჩვენთაგანის სათაყვანებელი და საამაყო სახელმწიფო ენის, ანუ ქართული ანბანის დღე!

დიახ, ის ფაქტი, რომ მსოფლიოში არსებული სულ 14 ანბანიდან ერთი ქართულია და 14 ანბანიდან სწორედ ქართული ანბანია ერთ-ერთი უძველესი და პირველი, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მოხვდა, რომ 14 ანბანიდან ერთადერთი ქართული ანბანია, რომელსაც სამი ცოცხალი სახეობა გააჩნია (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული) და ეს აღიარა მსოფლიომ, ნამდვილად გვაძლევს უფლებას სრულიად საქართველო გამორჩეული პატივით, სიყვარულით, სიამაყით და მოწიწებით ვმადლობდეთ უფალს, იმ დიდებულ წინაპართა გამო, რომელთა მეოხებითა და გონიერებით ასეთი საგანძური გვხვდა წილად.

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება, თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?.. სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას... ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“—ასე დამოძღვრა ყველა დროისა და ეპოქის ქართველობა წმინდანად შერაცხულმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ერის ერთ-ერთმა უპირველესმა შვილმა, დიდმა ილიამ...

საქართველოსთვის, ყოველთვის და დღეს, განსაკუთრებით სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დედაენის, ზოგადად მშობლიური კულტურის, ისტორიისა და აწმყოსეული პრობლემების კარგად გააზრებასა და ამ პრობლემების მცოდნე მომავალი თაობების აღზრდას. ყოველივე ამას ემსახურება ქართული ენის დღის აღნიშვნაც, რომელსაც 1978 წლის 14 აპრილიდან დაედო სათავე, ანუ დღიდან, როცა ქართული ენის დასაცავად თბილისის ქუჩებში ასიათასზე მეტი ქართველი გამოვიდა.

„ქართულ ენას ღრმა ფესვები აქვს და ეს უფრო აშკარა ხდება სხვა ერთათვის... ინგლისელი არქეოლოგების მიერ უძველეს ბაბილონში აღმოჩენილია ქართული ნაწერები, რომლებიც ნათლად ადასტურებენ, რომ ქართული ენა არის უპირველესი მსოფლიო ენათა შორის“... „ქართული ენების დედაა, ტყუილად არ იწოდების დედაენად“...

„ქართული ენა მსოფლიოს მერვე საოცრებაა“...

ყველა ამ ციტატაში დევს ჭეშმარიტების მარცვალი, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მოხვედრა და ასეთი მსოფლიო აღიარებაც ამის დასტურია...

საქართველოში მცხოვრებმა ყოველმა ადამიანმა, დიდმა თუ პატარამ უნდა იცოდეს—ქართული ენის, ქართული დამწერლობის პატრონები რა სიმდიდრის მფლობელნიც ვართ. სწორედ ამიტომ, გასული თვის დღეებში იყო უამრავი ლამაზი ღონისძიება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრსა და სხვა დაწესებულებებში და თითოეული ეს დღე იყო ჩვენი სათაყვანებელი დედაენის მოფერების, გაფრთხილების, სიყვარულის თუ მოვლა-პატრონობის აუცილებლობით ნაკარნახევი...

ანბანმა ჩაიცვა ფერადი სამოსი...

ლამაზი გამოფენა და ღონისძიება მიეძღვნა დედაენის დღეს სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლაში. საგამოფენო დარბაზის კედლებიდან თითქოს სულში გეღვრება გაფერადებული ანბანთა თვალისმომჭრელი მშვენიერება და სითბო...

აღარ გიკვირს რატომ აღაფრთოვანებს მსოფლიოს ქართული ანბანი.

დამთვალიერებლები ინტერესით ათვალიერებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს, თითოეულ მათგანში, რომ დიდი ძალისხმევა ჩაუდევთ ნორჩ „მხატვრებს“.

ყველა ასო-ბგერას ა-დან ჰ-მდე და კიდევ 5, სალიტერატურო ენიდან გასულ ასო-ბგერას თავისი ავტორი ჰყავს, საკუთარი ხედვით და ოსტატობით. ასე რომ, ვერნისაჟზე სწორედ იმდენი ბავშვის ნამუშევარია გამოფენილი, რამდენიც ასო გვაქვს.

სხვა ხიბლი, სხვა დახვეწილობა და სილამაზე აქვს ქართული, ფერადი ანბანის ვერნისაჟს, თავისი შესატყვისი ფერწერის ნიმუშებით.

„დღეს განსაკუთრებული დღე გვაქვს, და ეს დღე მთლიანად ეძღვნება დედაენას“...

მიმართა დარბაზში შეკრებილ დამთვალიერებლებს სამხატვრო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა თამარ ღარიბაშვილმა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში თერჯოლის №1 და №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები ჩაერთვნენ ლიტერატურული კომპოზიციით. ქართველ პოეტთა ულამაზეს ლექსებს კითხულობდნენ მოსწავლეები და მაყურებლებს უკვდავი სტრიქონებით კიდევ ერთხელ შეახსენებდნენ საიდან მოვდივართ, რა დიდებული ქვეყნის შვილები ვართ, როგორი საქართველო გვაქვს, რა დიდებულია ჩვენი ანბანი, ჩვენი კულტურა...

სკოლის დირექციას, პედაგოგებს, აღსაზრდელებს და შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა და დედაენის დღე მიულოცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მირზა ქოჩიაშვილმა, მან ასევე ისაუბრა ქართული ანბანის უნიკალურ ხიბლსა და მნიშვნელობაზე, მსოფლიოს ანბანთა შორის მის უპირატესობაზე...

მან აგრეთვე მადლობა გადაუხადა სამხატვრო სკოლის დირექციას, აღმზრდელებს და თითოეულ აღსაზრდელს, იმ ღვაწლისა და შემოქმედებისათვის, რასაც წლებია ეწევიან და წარმატებით ართმევენ თავს.

სკოლის წარმატებულ საქმიანობაზე ისაუბრეს და შეკრებილ საზოგადოებას დედაენის დღე მიულოცეს თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დირექტორმა რუსუდან უსუფაშვილმა და სახელოვნებო განათლების ცენტრის დირექტორის მოადგილემ შორენა ბოჭორიშვილმა.

ღონისძიების დასასრულს თამარ ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს და სკოლის პედაგოგებს, აღსაზრდელებს, აგრეთვე პედაგოგ თეა რიჟამაძეს, მისი ხელმძღვანელობით მომზადებული ლიტერატურული კომპოზიციისათვის, რომელმაც ასე გაალამაზა დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ „თერჯოლაში ძალიან ბევრი ნიჭიერი ბავშვია, მიხარია, რომ ბავშვებს უყვარს ეს სფერო და მრავალი მათგანი წარმატებასაც აღწევს გარდა იმისა, რომ ისინი ეუფლებიან ხელოვნების ამ დარგის საწყის საფეხურს, ყალიბდებიან ზნეობრივ, თავისუფალ ადამიანებად, უყალიბდებათ დამოუკიდებლობის უნარი, საქმიან გარემოში მუშაობის გამოცდილება“.

ამ საზეიმო გამოფენამ აჩვენა, რომ სკოლის აღსაზრდელები კვლავსც იტყვიან თავიანთ სიტყვას-...

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872